ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02.09.16/10/056

ქ. თბილისი 13 აპრილი 2022 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის ნიკა ელისაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნიუ ჰაუსი“ (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე გეჯაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომში - ,,ხელშეკრულება'') - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი'' -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი'' - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი და შესყიდვის საშუალება.

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - 2022 წლის მარტის თვეში ძლიერი ქარის შედეგად, ისნის რაიონის ტერიტორიაზე ბერი გაბრიელ სალოსის III შეს. კორპ. N4-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის დაზიანებული სახურავის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შეყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

2.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV 45261910 - სახურავის შეკეთება

3. ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 54 771,64 (ორმოცდათოთხმეტიათას შვიდასსამოცდათერთმეტი ლარი და 64 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

3.2 შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1 მიმწიდებელთან ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებიის წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწიდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება 2022 წლის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შსრულებული სამუშაოების მიხედვით, მხარეთა შორის ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება: (ავანსი) არ გამოყენება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების (ერთეულის ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ (საექსპერტო ღირებულებას აანალიზებს შემსყიდველი).
5.3 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს) ფაქტიურად შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
5.4 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა N2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;
5.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი რამაზ თაბაგარი
5.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

6.1 სამუშაოების მიწოდების ადგილი - ისნის რაიონის ტერიტორია, ბერი გაბრიელ სალოსის III შეს. კორპ. N4-ში მდებარე მრავალბინიანი სახლი
6.2 სამუშაოების დასრულების ვადა - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 3 მაისის ჩათვლით.**
6.3 სამუშაოების შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების მოთხოვნები

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია: შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს არაუგვიანეს 2022 წლის 3 ივნისისა.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

13.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:

ისნის რაიონის გამგეობა

მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა 8-1

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22

საიდენტ. კოდი 208 204 059

გამგებელი

_____ ნ.ელისაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ნიუ ჰაუსი“

მის. ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი კორპუსი 48 ბინა 8

სს „თი ბი სი ბანკი“

ა/ა GE06TB 7830 7360 5010 0001

კოდი TBCBGE22

საიდენტ. კოდი 432 546 630

დირექტორი

_____ ა. გეჯაძე

ISANI DISTRICT BOARD OF CITY TBILISI

Digitally signed by ISANI DISTRICT BOARD OF CITY TBILISI
Date: 2022.04.13 18:12:27 +04'00'

ქ. თბილისი 13 აპრილი 2022 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისში, ისნის რაიონის ტერიტორიაზე 2021 წლის ნოემბრის თვეში ძლიერი ქარის შედეგად, ისნის რაიონის ტერიტორიაზე ნიაბის ქუჩა N59-ში კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის, დაზიანებული სახურავის აღდგენა-რებილიტაციის სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

2022 წლის მარტის თვეში ძლიერი ქარის შედეგად, ისნის რაიონის ტერიტორიაზე ბერი გაბრიელ სალოსის III შეს. კორპ. N4-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის დაზიანებული სახურავის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე, 2022 წლის 13 აპრილს გაფორმებული N02.09.16/10/056 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის ინფრასტრუქტურული
პროექტების მართვისა და პროექტირების
განყოფილების უფროსი სპეციალისტი: რ. თაბაგარი

ქ. თბილისში, გაბრიელ სალოსის III შეს. კორპ. N4-ში ძლიერი ქარისგან დაზიანებული ქანობიანი სახურავის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოების, მასალების და ხარჯების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთლიანი ღირებულება
1	**სახურავის ფენილის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი**	კვ.მ	410	3.00	1,230.00
2	**დაზიანებული ხის კარკასის დემონტაჟი**	კუბ.მ	5.20	90.00	468.00
3	**ხის კარკასის მოწყობა (დგარი, ირიბანა, ნივნივა და სხვ.)**	კუბ.მ	5.20	120.00	624.00
4	ხის მასალა კ.-1.05	კუბ.მ	5.46	680.00	3,712.80
5	ლურსმანი კ.-7.2	კგ	37.44	5.00	187.20
6	**სახურავის ფენილის მოწყობა გოფრირებული, პროფილირებული თუნუქის კეხის გათვალისწინებით (0,5 მმ სისქის) (ფერადი)**	კვ.მ	320	30.00	9,600.00
7	გოფრირებული თუნუქი (ფერადი) (სისქე=0.5მმ) კ.-1.2	კვ.მ	384	20.00	7,680.00
8	ფურცვლოვანი თუნუქი კეხისთვის (ფერადი), სისქით 0.5 მმ, კ=150მ.X0.33X1.05	კვ.მ	18	19.50	351.00
9	სჭვალი თვითმჭრელი (ფერადი) კ=კვ.მ*6ც	ცალი	1920	0.20	384.00
10	**ინდაოს, სამერცხლეების, საბუხრეების, პარაპეტების მოწყობა და შუბლების შეფუთვა ფერადი თუნუქით სისქით 0.5მმ**	$მ^2$	15	20.00	300.00
11	მოთუთიებული თუნუქი (ფერადი) (სისქე 0.5მმ) კ.-1.2	კვ.მ	18	19.50	351.00
12	ლურსმანი კ.-0.09	კგ	1.35	5.00	6.75
13	**დადგმული ჰორიზონტალური წყალშემკრები ღარის დემონტაჟი**	კვ.მ	90	***3.00***	270.00
14	**დადგმული ჰორიზონტალური წყალშემკრები ღარის დამზადება მოწყობა**	კვ.მ	90	***25.00***	2,250.00
15	მოთუთიებული თუნუქი (ფერადი) (სისქე 0.5მმ) კ.-1.6	კვ.მ	144	***19.50***	2,808.00
16	ლურსმანი კ.-0.04	კგ	3.60	***5.00***	18.00
17	ღარის დამჭერი. (საფენის ლითონის "T" ტესებრი)	ცალი	130	***4.00***	520.00
18	ფერადი წყალშემკრები ღარის დამჭერი (შედგმული "Г" გესებრი)	ცალი	130	***4.00***	520.00
19	**ძაბრების დამზადება მონტაჟი (დიდი ძაბრი)**	ცალი	4	45.00	180.00
20	მილი თუნუქის ფერადი დამზადება მონტაჟი 120მმ	გრძ.მ	65	18.00	1,170.00
21	მუხლი თუნუქის ფერადი დამზადება მონტაჟი 120მმ	ცალი	12	10.00	120.00
22	არსებული ბეტონის პარაპეტის ჩაბურღვა ანკერების მოსაწყობად	წერტ.	100	25.00	2,500.00
23	ანკერი 20მმ	ცალი	100	5.00	500.00
24	ხის კარკასის გადამაგრება გამომწვარი მავთულით 5-6	კგ	20	6.00	120.00
25	არმატურის ჩანგალი ხის კოჭების გადასამაგრებლად	ცალი	150	3.00	450.00
26	**სამშენებლო მასალის ატანა სახლის სახურავზე**	ტ.	12.5	65.00	812.50
27	**სამშენებლო ნარჩენების ჩამოტანა და დატვირთვა ხელით / მექანიზმებით ავტოთვითმცლელზე**	ტ	8	55.00	440.00
28	**სამშენებლო ნარჩენების გატანა - მისამართი: გლდანის რაიონი, თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის მე-15 კმ.**	ტ	8	45.00	360.00
	ჯამი				**37,933.25**
	ზედნადები ხარჯი		**10%**		**3,793.33**
	ჯამი				**41,726.58**
	გეგმიური დაგროვება		**8%**		**3,338.13**
	ჯამი				**45,064.70**
	გაუთვალისწინებელი ხარჯი		**3%**		**1,351.94**
	ჯამი				**46,416.64**
	დ.ღ.გ.		**18%**		**8,355.00**
	მთლიანი ჯამი				**54,771.64**

ქ. თბილისი: ზენი ვაჩნაძეს სადგომის ფ-3 ფს. კოხს. №4
ქანობიანი სახეხაფის ნახაზი.



Georgia "New Hause" LLC 432546630